მონაწილეობის პროგრამა 2024-2025

ინფორმაცია პროექტის სტანდარტის შესახებ (benchmarks)

1. პროექტის თემა შესაბამისობაში უნდა იყოს UNESCO-ს კომპეტენციის სფეროებთან; პროექტი ხელს უნდა უწყობდეს ორგანიზაციის პოპულარიზაციას ქვეყანაში;
2. დამხმარე დოკუმენტი: 42 C/5 UNESCO's Regular Programme priority activities (მისამართი: https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000385118 გვ.88-იდან)
3. სასურველია გლობალური პრიორიტეტის - გენდერული თანასწორობა - გათვალისწინება; მნიშვნელოვანია აქცენტის გაკეთება ქალებისა და გოგონების ჩართულობაზე;
4. პროექტი ხელს უნდა უწყობდეს კულტურათაშორის და ინტერ-ეთნიკურ დიალოგს და არ უნდა უჭერდეს მხარს კონკრეტულ პოლიტიკურ თუ რელიგიურ ჯგუფს.

   პროექტში ნათლად უნდა იყოს ასახული შემდეგი ინფორმაცია:

5. პროექტის მნიშვნელობა; პროექტის ძირითადი მიზნები; მოსალოდნელი შედეგები; მოკლე ინფორმაცია პროექტის შესახებ (ძირითადი გზავნილები მაქს. 100 სიტყვა);
6. დოკუმენტის 42 C/5 შესაბამის პარაგრაფთან პროექტის შესაბამისობა;
7. პროექტის შესრულებაზე პასუხისმგებელი და ბენეფიციარი ინსტიტუციის სტატუსი და სახელწოდება;
8. პროექტის შესრულების ადგილი (ქალაქი, რაიონი)
9. სამიზნე ჯგუფები (ახალგაზრდობა, ქალები, სტუდენტები, ხელოვანები და ა.შ);
10. პარტნიორი ინსტიტუციები ან ჯგუფები (კერძო და/ან საზოგადოებრივი);
11. პროექტის დეტალური/ჩაშლილი ბიუჯეტი ა.შ.შ დოლარში, რომელიც გაწერილი იქნება მოთხოვნილი დახმარების ტიპების მიხედვით (სააპლიკაციო ფორმის ქვეთავი 3 (type of assistance (breakdown of expenditure გარდა study grants and fellowships) და ქვეთავი 5(description of estimated budget)) შესაძლებელია ჩაშლილი ბიუჯეტის დამატება დანართად;
12. პროექტის დაფინანსებაში მონაწილე სხვა წყაროები (ასეთების არსებობის შემთხვევაში);
13. პროექტით გათვალისწინებული აქტივობების გრაფიკი, მონაწილეთა სია, კონფერენციების/ვორქშოპების პროგრამები, პუბლიკაციების რაოდენობა, ენა, გავრცელება;

ამასთანავე სასურველია, რომ ამა თუ იმ ღონისძიებისთვის საჭირო მასალა/დანადგარის თუ ტექნიკის შესყიდვის ნაცვლად, მოხერხდეს მისი ქირაობა. შესყიდვის განხორციელების აუცილებლობის შემთხვევაში მითითებულ უნდა იქნას ტექნიკის შენახვის ადგილი ღონისძიების დასრულების შემდგომ.

არ ფინანსდება შემდეგი მასალა/დანადგარის თუ ტექნიკის შესყიდვა:

- ავეჯი (მაგ: მაგიდა, თარო, წიგნის კარადა)
- ტელე-ვიდეო ტექნიკა და აქსესუარები
- IT ტექნიკა, როგორიცაა ტებლეტები, პროგრამული უზრუნველყოფა;
- საყოფაცხოვრებო ტექნიკა
- დამხმარე მოწყობილობა (მყარი დისკი, USB. პრინტერი)
- საოფისე მასალა (კარტრიჯი, ტონერი, ქაღალდი)